92 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი—გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.

92 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №6 (7153) 16 მარტი 2026 წელი

☞ 2

დედის დღე „დედის ლოცვასთან“

ჩხარი, 3 მარტი, 2026 წელი
ამ დღეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარში საფუძველი ჩაეყარა დედის დღის აღნიშვნის ახალ ტრადიციას

3 მარტი—დედის დღედ დამკვიდრდა საქართველოში და განსაკუთრებულია მისადმი სიყვარული და ინტერესი, ისე როგორც დედისადმი...

დედისადმი უდიდესი სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად დგას სოფელ ჩხარში ძეგლი „დედის ლოცვა“ და რაოდენ სიმბოლურია სწორედ აქ, ამ დიდი ისტორიის მქონე ჩხარის ცენტრში დედის დღის აღნიშვნა.

ამიერიდან დედის დღის ღონისძიებები ყოველწლიურად სწორედ აქ გაიმართება, ასეთია თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს გადაწყვეტილება...

ინტენსიური წვიმების შემდეგ, 3 მარტს, თბილი, მზიანი ამინდი იდგა, როგორც საჩუქარი ბუნებისაგან ქალბატონებისათვის, ღონისძიების მონაწილეებისათვის.

საზეიმოდაა მორთული ჩხარის ცენტრი...

ყვავილებშია ჩაფლული ძეგლი „დედის ლოცვა“.

მიმდებარე ტერიტორიას ალამაზებს სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნახატების გამოფენა, მეორე მხარეს თერჯოლელი შემოქმედი ქალბატონების ნამუშევრებისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვაა წარმოდგენილი. გაზეთ „თერჯოლის“ ბოლო ნომერსაც სთავაზობენ კალენდართან ერთად.

გადახურული სცენა და მაყურებელთა განკუთვნილი ადგილიც მზადაა. ხალხმრავლობაა ჩხარში. „დედის ლოცვამ“ ისევ შეკრიბა ადგილობრივი ქალბატონები, რომლებსაც შეუერთდნენ თერჯოლიდან და მიმდებარე სოფლებიდან მოსულები, საზეიმო განწყობას აძლიერებდა დილიდან ჩართული მუსიკის ჰანგები...

☞3

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

2026 წლის 4 მარტს გაიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

სხდომას საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე უძღვებოდა.

სხდომაზე, დღის წესრიგის შესაბამისად, განიხილეს და მხარი დაუჭირეს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ზურაბ ჩხიკვაძის და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ბიძინა ბუცხრიკიძის მიერ წარმოდგენილ საკითხებს. ეს საკითხებია:

1. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. ამ ცვლილებით მერიის სტრუქტურებზე გადანაწილდა 2.0 მლნ ლარი, რომელიც საქართველოს მთავრობამ ფინანსური დახმარების სახით გამოეყო თერჯოლის მუნიციპალიტეტს.

2. საკრებულოს სხდომამ ასევე შეიტანა ცვლილება „თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, მისი ოდენობის განსაზღვრისა და შესაბამისი ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 თებერვლის №10 დადგენილებაში. ცვლილება შეეხება მომსახურებას საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე, კერძოდ, მისი ღირებულება, რაც განსაზღვრულია ოჯახზე: 1 სული—1 ლარი, 2 სული—2 ლარი, 3 სული—3 ლარი, 4 სული—4 ლარი და შემდეგ, სულადობის მიუხედავად, ოჯახზე მხოლოდ 4 ლარი. მოსაკრებელი გადასახადის სახით მიბმული იქნება ელექტროენერგიის გადასახადზე.

გადახდის ამ ფორმით დაწყების შესახებ აბონენტები ინფორმირებულები იქნებიან დამატებით.

3. საკრებულოს ამავე სხდომამ დაამტკიცა ანგარიში თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის წლიური შესრულების შედეგების შესახებ (იხ. მომავალ ნომერში).

საკრებულოს სხდომას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

რამაზ კუბლაშვილი იუბილარია 70 ვულოცავთ!

☞5

მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალურ ცენტრში „ადგილი ესე წმიდა არს“

☞4

არა ომს და სისხლისღვრას, ვიბრძოლოთ მშვიდობისათვის!

1☞

უფალმა, ჩვენ, ქართველებს, სამყაროს ისეთი მიწა-წყალი გვარგუნა, ოდითგან ანდამატივით, რომ იზიდავდა ათასი ჯურის უცხოტომელებს...

უთვალავი ჭირ-ვარამი გამოვიარეთ, მაგრამ მაინც გავძელით—ენაც შევინარჩუნეთ, მამულიც და სარწმუნოებაც. ოქროს ხანაც არაერთხელ გვიდგა და სრული განადგურების პირასაც ახლოს ვიყავით ზოგჯერ, ჩვენდამი ინტერესი კი დღესაც კვლავ არანაკლებია ვიდრე ოდესმე...

მართალია, ამჟამად, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 20% ოკუპირებულია, მაგრამ იმედი—სანატრელი ჟამიც, რომ მალე დაგვიდგება, მაინც არ გვტოვებს...

ახლა კი, როცა ჩვენი სამეზობლოს აზიურ ნაწილში, უკიდურესად რთული, დაძაბული და მწვავე რეალობაა შექმნილი, ირანთან აშშ-ისრაელის საომარი მოქმედებების გამო, რომელიც 28 თებერვალს დაიწყო. როცა ირანი მის სტრატეგიულ ობიექტებზე მოწინააღმდეგის საჰაერო დარტყმებს, მეზობელი ქვეყნების სამოქალაქო ობიექტებზე საპასუხო დარტყმებით პასუხობს, მათ შორის ჩვენს უახლოეს მეზობლებზე—აზერბაიჯანსა და თურქეთზეც კი.

ასეთ არაპროგნოზირებად სიტუა-ციაში, ყველას ჩვენ—საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, გვმართებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ამ ჯოჯოხეთური პროცესიდან ქვეყნის მშვიდობიანად გამოყვანისათვის.

ეს პასუხისმგებლობა თავდადება-თავგანწირვის მაქსიმუმის ზღვრამდე უნდა ავიდეს სახელმწიფოს შესაბამის სტრუქტურებში, განსაკუთრებით კი ძალოვანებში, რომ სხვადასხვა საფრთხეებიდან საიმედოდ დავიცვათ ჩვენი სამშობლოს ცა და ხმელეთი, მოსახლეობა...

ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მისი სუვერენიტეტის ხელყოფისაგან დასაცავად გვერდზე უნდა გადავდოთ ყოველგვარი შიდა დაპირისპირება...

იმ ჯოჯოხეთური მდგომარეობის გამო, რაც ჩვენგან არც თუ ისე შორსაა, უნდა გავერთიანდეთ ყველა—თითოეული მოქალაქე, განურჩევლად პარტიული და რელიგიური კუთვნილებისა, ოპოზიციურობის თუ პოზიციურობისა...

ვიბრძოლოთ მშვიდობისათვის!

გადავარჩინოთ ჩვენი საქართველო!

„თერჯოლა“. 10 მარტი, 2026 წელი

5 მარტი ბადრი ბასილაძის დაბადების დღეა...

5 მარტი რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის გმირის ბადრი ბასილაძის დაბადების დღეა. ამ დღესთან დაკავშირებით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეებმა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებმა, თერჯოლის ვეტერანთა საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელმა, საკრებულოს და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებმა, გმირის საფლავი ყვავილებით შეამკეს და პატივი მიაგეს მის ხსოვნას. აღევლინა სულის მოსახსენებელი პარაკლისი.

ბადრი ბასილაძე 1985 წლის 5 მარტს თერჯოლის რაიონის სოფელ ჭოგნარში დაიბადა. ქართველი სამხედრო პირი, კაპრალი დაიღუპა 2008 წელს, 9 აგვისტოს.

6 მარტი ვალერი გოგნაძის დაბადების დღეა...

ამ დღეს, სოფელ ღვანკითში მისივე მემორიალთან გაიხსენეს 2008 წლის აგვიტოს ომის გმირი ვალერი გოგნაძე.

იგი დაიბადა 1978 წლის 6 მარტს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითში. ბავშვობა და ახალგაზრდობა მშობლიურ სოფელში გაატარა.

სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა სამთო ბატალიონში კაპრალის წოდებით, მონაწილეობდა სამშვიდობო მისიაში ერაყში. სამშობლოს ერთგული მეომარი გმირულად დაიღუპა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს.

ვალერი გოგნაძე დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (გარდაცვალების შემდეგ). მისი ხსოვნის პატივსაცემად სოფელ ღვანკითში შექმნილია მისი სახელობის სკვერი და მემორიალი.

დაბადების დღის აღსანიშნავად მემორიალთან შეიკრიბნენ სოფლის საზოგადოება და მოსწავლეები. გმირის ხსოვნას პატივი მიაგეს ღვანკითის საჯარო სკოლის IV, V და IX კლასის მოსწავლეებმა. ღონისძიებას ესწრებოდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებმაც გმირის მემორიალი ყვავილებით შეამკეს და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მის ხსოვნას.

სადღესასწაულო მილოცვები

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, საქართველოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორთან, გენერალ-მაიორ კობა კობალაძესთან, საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძესა და თერჯოლის ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის უფროს ირაკლი ლილუაშვილთან ერთად, დედის დღე მიულოცა აგვისტოს ომის გმირის, შმაგი სოფრომაძის დედას და დიდხანს სიცოცხლე უსურვა მას.

თერჯოლაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ინიციატივით, საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპული გმირების დედებს და მეუღლეებს გაზაფხულის დღესასწაულები მიულოცეს.

მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძესთან ერთად, აფხაზეთის და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გმირების დედებს და მეუღლეებს ესტუმრა, ქალთა დღესასწაულები მიულოცა და ჯანმრთელობა და კეთილდღეობა უსურვა მათ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძესთან ერთად, სოფელ ზედა საზანოში მცხოვრებ 101 წლის ჟენია ჩუბინიძეს დაბადების დღე მიულოცა. მათ იუბილარს ჯანმრთელობა და მხნეობა უსურვეს.

დედის დღე „დედის ლოცვასთან“

1☞

აპლოდისმენტების ფონზე, დედის ძეგლთან, ყვავილების გვირგვინი მიიტანეს მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ სოსო ჩაფიჩაძემ. თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის აღსაზრდელებმა კი ლამაზად შედგენილი კომპოზიციით შეკრებილ საზოგადოებას დედის დღისა და „დედის ლოცვის“-ადმი მიძღვნილი სტრიქონებით, ჩხარში, ულამაზესი ტრადიციის საფუძვლის ჩაყრა მიულოცეს შეკრებილ საზოგადოებას. იქვე, ძეგლის წინ, შესრულდა ცეკვა „ქართული“.

ღონისძიებამ სცენაზე გადაინაცვლა.

დედას ულამაზეს სიტყვებს კვლავ სიყვარულს უძღვნიან მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის აღსაზრდელები და სცენაზე შემოქმედებით ანსამბლებს იწვევენ.

სცენაზე ერთიმეორის მონაცვლეობით, მდიდარი რეპერტუარით და საუკეთესო შესრულებით გამოდიან მუნიციპალიტეტის საქვეყნოდ ცნობილი ანსამბლები: ქალთა ანსამბლი „იამე“—ხელმძღვანელი გულთამზე კუბლაშვილი, ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმერეთი“—ხელმძღვანელები: გოჩა ჭანკვეტაძე და ირინა ბუცხრიკიძე, ქორეოგრაფები თამუნა და გიორგი ჭანკვეტაძეები, ფოლკლორული ანსამბლი „იმერეთი“—ხელმძღვანელი გულთამზე კუბლაშვილი, ვაჟთა ანსამბლი „მასპინძელო“—ხელმძღვანელი ინეზა ბუცხრიკიძე, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერიკონი“—ხელმძღვანელები ვიტალი და მანუჩარ ლაღაძეები, ზაურ სვანიძე, მუსიკალურ სკოლასთან არსებული ანსამბლი „ჭიუხი“—ხელმძღვანელები გულთამზე კუბლაშვილი, რამაზ მემანიშვილი, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ხალხურ საკრავთა ანსამბლი „იმედი“—ხელმძღვანელი ზურაბ რიჟამაძე.

მაყურებლები აპლოდისმენტებით აჯილდოებდნენ თითოეული ანსამბლის მიერ შესრულებულ სხვადასხვა ნომრებს. მხატვრულ ნომრებს თავიდან ბოლომდე ალამაზებდა მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების კლუბის პედაგოგისა და მოსწავლეების მიერ მაღალ დონეზე მომზადებული მონტაჟი, მონაწილეთა საუკეთესოდ წაკითხვითა და შესრულებით.

შეკრებილ დედებს, სტუმრებს, საზოგადოებას მიესალმა მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი მაკა ასათიანი:

„სიყვარულით მოგესალმებით ყველას, მივესალმები ძვირფას სტუმრებს და მასპინძლებს, მადლობას გიხდით მობრძანებისათვის.

დღეს კიდევ ერთ ლამაზ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ულამაზეს და უძველეს ისტორიულ სოფელ ჩხარში. გასულ წელს აქ საზეიმოდ გაიხსნა დედის ძეგლი „დედის ლოცვა“.

დღეს დედის დღეა, სიყვარულისა და მოფერების დღე;

ყველა დედის უკან ღვთისმშობელი დგას;

დედის გულმხურვალე ლოცვას შეუძლია სასწაული მოახდინოს;

დედის ხელით გადაწერილ პირჯვარს უდიდესი მადლი და ძალა აქვს;

ყველა დედას შეუძლებელი შეუძლია შვილების გამო;

ყველა დედაში მისი წილი გმირობაა, ენით ვერ გამოთქმული გმირობა, თმენა, ლოდინი, უპირობო სიყვარული და თავგანწირვა შეუძლია დედებს.

დედა ხომ ხორცშესხმული სიყვარულია თავად.

გილოცავთ ძვირფასო დედებო გაზაფხულის დღესასწაულებს და დედის დღეს. შემდეგ ქალბატონი მაკა ლექსით მოეფერა ახალგაზრდებს. მანვე მადლობა გადაუხადა იმ ადამიანებს, ვინც წვლილი შეიტანა ამ ლამაზი დღის შექმნაში. მუნიციპალიტეტის მერს და ადგილობრივ თვითმმართველობას, მერიას და საკრებულოს, საგანმანათლებლო რესურსცენტრს და საჯარო სკოლებს, 19-ვე ადმინისტრაციულ ერთეულს.

მადლობა ჩხარის დეპუტატს და წარმომადგენლობას, ჩხარის საჯარო სკოლას, საბავშვო ბაღს, ჩხარის მოსახლეობას.

მადლობა აიპებს, განსაკუთრებული მადლობა კომუნალურ სამსახურს, შემოქმედებით და ქორეოგრაფიულ ანსამბლებს და მათ ხელმძღვანელებს. ჩვენს მეწარმე ქალბატონებს, სამხატვრო სკოლას, სახელოვნებო განათლების და კულტურის აიპს და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრს, მერიის კულტურის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ყველა თანამშრომელს“...

სცენას იკავებენ: ტყიბულისა და თერჯოლის ეპარქიის მიტროპოლიტი, ტყიბულისა და თერჯოლის საპატიო მოქალაქე, მეუფე გიორგი შალამბერიძე, მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე და საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე, საქართველოს კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის სააგენტოს, კულტურული მემკვიდრეობის დაცული ზონების საბჭოს ხელმძღვანელი, თერჯოლის საპატიო მოქალაქე დავით აბულაძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქეთევან შეყრილაძე, ძეგლის „დედის ლოცვის“ იდეის ავტორი და დამკვეთი, თერჯოლის საპატიო მოქალაქე იორამ აბულაძე, მხატვარი და მოქანდაკე დედის ძეგლის ავტორი, ქუთაისის და ბათუმის საპატიო მოქალაქე გიორგი კიკვაძე.

თითოეული მათგანი დედისადმი, შეკრებილებისადმი მისასალმებელ-მისალოცი სიტყვებით და კეთილი სურვილებით შეუერთდა ღონისძიებას.

ᲘᲝᲠᲐᲛ ᲐᲑᲣᲚᲐᲫᲔ: **მოგესალმებით ჩემო ძვირფასებო. მიხარია, რომ დღეს ჩხარში ასეთი ლამაზი დღე აქ, ამ ძეგლთან აღინიშნა. 3 მარტი საქართველოში დედის დღეა, მაგრამ შვილისთვის ყოველი დღე დედის დღეა, გულით ვულოცავ ქალაქ ჩხარს (მე ასე მოვიხსენიებ ყოველთვის) რომ ყოველწლიურად თერჯოლა ამ ძეგლთან იზეიმებს ამ ულამაზეს დღეს. გულით მინდა, რომ ყველანი იყოთ ძალიან ბედნიერები, ყველა დღე სიხარულისა და სიყვარულისა იყოს ძვირფასებო, ჩვენ, უფლის ნებით, ამ დღეს ყოველთვის ვიქნებით აქ, ერთად და ბევრ ლამაზ დღეს ვიზეიმებთ, დიდი მადლობა ბატონო მანუჩარ თქვენ, ამ შესაძლებლობისათვის.**

ᲛᲐᲜᲣᲩᲐᲠ ᲠᲝᲑᲐᲥᲘᲫᲔ: **მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო, ძვირფასო სტუმრებო, მიხარია, რომ დღეს, აქ, ჩხარის ძირძველ ცენტრში, კიდევ ერთი მუნიციპალური ღონისძიება გაიმართა და მიხარია, რომ ეს დედის დღეა და რომ ყველანი ერთად ვართ. კიდევ ერთხელ მოგესალმებით და გილოცავთ ქალბატონებო.**

დღეს ჩვენთან იმყოფებოდა გენერალ-მაიორი კობა კობალაძე და ერთად დედის დღე მივულოცეთ, ძევრში 8 აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული შმაგი სოფრომაძის დედას...

ჩვენ დღეს ვდგავართ ძეგლთან „დედის ლოცვა“ და ვზეიმობთ დედის დღეს, როგორ უხდება ეს ორი საოცრება ერთმანეთს. დედის ლოცვა არის ძალიან ძლიერი და მინდა მადლობა ვუთხრა ბატონ იორამს რომ ეს ადგილი ასე გალამაზდა, ასეთი დატვირთვა შეიძინა. ეს არა მხოლოდ დედის ხსოვნისა და სიყვარულის გამომხატველია, არამედ თვით ჩხარის ახალი სიცოცხლის დასაწყისია...

დიდება და მადლობა თითოეულ დედას, მადლობა ყველას, ვინც აქ მობრძანდით და ჩვენთან ერთად იზეიმეთ...

ღონისძიება „მასპინძელომ“ დაასრულა.

სიმღერის ფონზე, მუნიციპალიტეტის მერმა ყვავილები მიართვა ღონისძიების საპატიო სტუმარ ქალბატონებს. მან ასევე კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს, მონაწილეებს, შემოქმედებით კოლექტივებს და მათ ხელმძღვანელებს, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ნიჭიერ ახალგაზრდებს, პედაგოგებს, ცენტრის ხელმძღვანელს.

ღონისძიების წამყვანებს კი ბატონი იორამისაგან საჩუქრად „ბიბლუსის“ სასაჩუქრე ვაუჩერები გადაეცათ.

მზია ცქიფურიშვილი

მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალურ ცენტრში „ადგილი ესე წმიდა არს“

ლამაზი დღეების მონაცვლეობა, მეტი განათლება-განვითარება, შემოქმედებითი, ინტელექტუალური შემეცნებითი აქტივობები და არა მხოლოდ, არის უმთავრესი, რის გამოც თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრი ასე საინტერესო და მიმზიდველია... სასკოლო ასაკის ახალგაზრდებისათვის ეს არის ადგილი, სადაც ისინი ნამდვილად პოულობენ ჭეშმარიტების, ღირსების, მშვენიერების და სიბრძნის გასაღებს!

დიახ, წლებმა, გონიერმა ადამიანებმა მრავალფეროვნად და შინაარსიანად წარმართულმა საქმიანობამ დაამკვიდრა აქ ტრადიცია საინტერესო, შედეგზე ორიენტირებული მუშაობისა და წარმატების არაერთი მაგალითიც სახეზეა. ეს 20 თებერვალს, ცენტრის მიერ, გამართულმა ლიტერატურულ-მხატვრულმა ღონისძიებამაც კარგად აჩვენა.

რუდუნებით, მოკრძალებითა და ღრმა შინაარსით დატვირთულ „გრაგნილს“ იმაზე მეტი ფუნქცია ჰქონდა, ვიდრე უბრალოდ მოსაწვევს. ორიგინალურად მოფიქრებულმა და შესრულებულმა მოსაწვევმა წინასწარ შეგვახსენა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა უმთავრესი საფიქრალ-სალოცავსაზრუნავია, რომ „ადგილი ესე წმიდა არს“—სიწმიდე კი ხელშეუხებელია!

თემა აქტუალურია, მტკივნეულიც. ორი ერთიმეორეზე მნიშვნელოვანი და ერთმანეთთან გადაჯაჭვული წარსული და დღევანდელი რეალობა, სიხარული და საწუხარი, ქვეყნისათვის საჭირო და სასარგებლო ღირებულების ჩვენება ასეთი ამოცანაა ღონისძიების ავტორთა წინაშე...

დავით აღმაშენებელი, პარალელები წარსულსა და აწმყოს შემოქმედთა წინაშე და დღევანდელობის სავალალო გამოწვევა—დაცარიელებული სოფლები, გამოკეტილი სახლები, მიტოვებული ფუძე-კერიები. ანუ ის, რამაც თითოეული, დიდი და პატარა უნდა დაგვაფიქროს, გზებისა და პერსპექტივების ძიებასთან უნდა მიგვიყვანოს...

კარგად გააზრებულმა და შედგენილმა სცენარმა ყველაფერი თანმიმდევრულად დაალაგა და გასცა პასუხი იმასაც, როგორ უნდა გააგრძელონ დღევანდელმა ახალგაზრდებმა დავითის „დიდგორი“, იმასაც, რა არის საჭირო, რომ არ ჩაქრეს კერიაზე სიცოცხლე...

ღონისძიებას ცენტრის ნორჩი აღსაზრდელები იწყებენ. გულგრილი ვერ დარჩები ფურცელ-ფურცელ გადაშლილი ქართლის ცხოვრებიდან ამოკრებილი სურათებისა, სადაც ხან ბეწვის ხიდი, ხან სიკვდილთან თამაში, ალავერდზე ავარდნილი ცეცხლის ალი თუ ძველ პერგამენტზე სისხლის კევრის ტრიალი, სადაც გოდებაა ქართლის მემატიანისა, აჩეხილი ვენახებისა და დაქცეული სახლებისა... შემდეგ კი მოსჩანს მამაცი წინაპრები: თამარი, შუშანიკი, ქეთევანი, რუსუდანი, თამარი... ქვეყნის აღმშენებელი დავითი!

სცენაზე დავითის ხატთან სანთელი ლიცლიცებს, ეკრანზე მისი ფრესკები მონაცვლეობენ, მონაწილენი, ახოვანი გოგო-ბიჭები კი დავითის დროის ისტორიას ჰყვებიან...

„დავით IV აღმაშენებელი საქართველოს ისტორიაში უდიდესი მეფეა. ჩაიბარა დამპყრობელთაგან და შიდაფეოდალური დაპირისპირებისაგან დაუძლურებული დაპატარავებული სამეფო.

მემატიანე ასე აღწერს იმდროინდელი საქართველოს ყოფას: „არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა: მოოხრდა ქვეყანა და ტყედ გადაიქცა, ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნეს მას შინა... მოხუცებულნი არა შეწყალებულ იქმნეს, ხოლო ქალწულნი გინებულ, ჭაბუკნი დაკუეთებულ, ხოლო ჩჩვილნი მიმოტაცებულ... მდინარენი სისხლიანი, ნაცვლად წყლისა ნაკადულთა, მრწყველნი ქვეყნისანი“.

16 წლის მეფემ დაიწყო ქვეყნის აღდგენისათვის ბრძოლა და საქართველო კვლავ გააერთიანა, აღკვეთა ფეოდალთა თვითნებობა, გაატარა სამხედრო, ეკონომიკური და საეკლესიო რეფორმები. გააძლიერა ცენტრალური ხელისუფლება, ხელი შეუწყო ეკლესიის განმტკიცებას და ტაძართა და მონასტერთა აღმშენებლებს. ქვეყნიდან განდევნა თურქ-სელჩუკები, 400 წლოვანი ბატონობისაგან გაათავისუფლა საქართველოს დედაქალაქი თბილისი და სამეფო ტახტი ქუთაისიდან თბილისში გადაიტანა.

დიდი ყურადღება დაუთმო სწავლა-განათლებას, ეკლესია-მონასტრებთან დააფუძნა სასწავლო კერები, აღაშენა, განაახლა, მოახატვინა და შეამკო მრავალი ტაძარი ქვეყნის მასშტაბით. მათ შორის უნიკალური მხატვრობით გამორჩეულია გელათის სამონასტრო კომპლექსი, მისივე ბრძანებით დაფუძნდა გელათის აკადემია.

მსგავსი მწიგნობრული კერა შეიქმნა აღმოსავლეთ საქართველოშიც—დავით მეფემ აღადგინა იყალთოს სამონასტრო კომპლექსი და განაახლა აკადემიაც.

მეფემ კარგად იცის რომ მარადიული არაფერია, მას სხვა შეცვლის, ხოლო უფლის წინაშე ის უნდა წარდგეს გაწმენდილი, თავდადრეკილი. მას არ ღალატობს რწმენა, რომ სამართლიანობა იზეიმებს და ამ დროს თავად, ვითარცა უსამართლო და მძლავრი, მზადაა პასუხისმგებლობისთვის.

დავით მეფე გარდაიცვალა 1125 წლის 24 იანვარს. ქართულმა ეკლესიამ, სავარაუდოდ XVI საუკუნეში, იგი წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ დააწესა 26 იანვარი (ახალი სტილით 8 თებერვალი).

მეფეთ მეფე დავითი!

ქვეყნისა და ხალხისათვის დამაშვრალი და თავდადებული, სიბრძნის მოყვარე და განათლების ხელშემწყობი, ღრმად მორწმუნე და ეკლესიათა მაშენებელი, თავმდაბალი და შემკული ყოველგვარი ღირსებით, ყველა დროის უდიდესი პოლიტიკოსი, სარდალი და დიპლომატი...

საფუძველი ჩაუყარა ოქროს ხანას.

წმიდა დავით აღმაშენებელი დაკრძალეს მის მიერ აგებულ და სამეფო საძვალედ დადგენილ გელათის მონასტრის შესასვლელში... რაოდენ თავმდაბლურად ჟღერს მისი სათხოვარი: „მოიხსენეთ ვედრი ჩემი და ნუ ოდეს დამივიწყებთ დავითს?!“

მაყურებელი ინტერესით ისმენს დავითისადმი მიძღვნილ ლამაზ სტრიქონებს... შემდეგ კი ახალგაზრდები ცდილობენ მეფისაგან მიიღონ პასუხი კითხვაზე—რა გავაკეთოთ, რით დავიწყოთ, როგორ მოვძებნოთ გზა, რომელიც ჩვენია და რომელიც ღვთისმშობლის ტაძართან მიგვიყვანს.

„მე 16 წლის ვარ... მე ჩემი ქვეყნის პატრონი ვარ... რა გავაკეთო, რით დავიწყო...

მე ვხედავ ჩემს დიდგორს, ჩემი ქვეყნის დაბერებულ სოფლებში გამოკეტილ ბოქლომდადებულ ჭიშკრებში, ლოდინადქცეულ ხავსმოკიდებულ ოდა სახლებში, გატყიურებულ ეზო-კარში, ვხედავ და მტკივა, ისიც ვიცი გაუქმებული კერა მხოლოდ ტკივილი არაა, ძახილია მომავლის...

ქვეყნის საძირკველი ღონიერი სოფლებია, ქვეყნის ქვაკუთხედი კი ხალხის სიმრავლით მტკიცდება...

უწინ, ძლიერ სოფელში შრომისმოყვარე, მამულ-დედულზე შეყვარებული ხალხი ცხოვრობდა, რომლებმაც კარგად იცოდნენ მარჩენალი მიწის მადლი, ფიქრადაც არავის მოსდიოდა სხვაგან საცხოვრისის ძებნა, წინაპართა სალოცავებისა და მათი საძვალეების მიტოვება.

...მაშინებს სოფლის სიჩუმე, ფოთოლზე დადენილი დილის ცვარი ბრწყინავს და ელის ჩიტუნას, რომელიც შესვამს, ელის როდის დაიდებს ბუდეს მის ფოთლებში, ელის ბალახი საძოვარზე გამოსული ძროხისა და ხარის სიმრავლეს.

დედა ბუნება გვთხოვს, რომ კერას დავუბრუნდეთ და გავაცოცხლოთ არემარე, ჩვენი მამა-პაპის კერიაზე სიცოცხლის სინათლე ავანთოთ და სოფელს დავუბრუნოთ ხიბლი ძველი დიდებისა, წუთისოფელსაც ხომ სოფელი ჰქვია.

იმედისმომცემად ჟღერს ახალგაზრდების სიტყვები: ჩვენი ვალია ამ წუთისოფელში ლამაზი კვალი გავავლოთ, მოყვასს და ქვეყანას გამოვადგეთ, ცრემლი შევუშროთ სოფელს, გული დავუამოთ, ქრისტემ გაგვიხაროს ყანა და ვენახი, ქვეყანა შრომით გამოვკვებოთ და მომავალზე ვიზრუნოთ.

მამულს დავუბრუნოთ მამულიშვილი...

აქ შეასრულა თავისი სამოციქულო მისია მოციქულთა სწორმა და ქართველთა განმანათლებელმა წმიდა ნინომ, აქ ქადაგებდნენ მოციქულნი—ანდრია პირველწოდებული და სიმონ კანანელი, აქ ბევრი წამებული გვირგვინოსან იქმნა, ივერია ბრწყინავს მღვდელთმთავართა და ღირსთა მამათა ღვაწლით, სწორედ ესაა გზა, რომელიც ღვთისმშობლის ტაძართან მიგვიყვანს...

საქართველოს მიწა წმიდაა, მის წიაღში განისვენებს მაცხოვრის კვართი, ამ მიწაზე გვესმის ჩვენ საიდუმლო

☞8

რამაზ კუბლაშვილი იუბილარია
ვულოცავთ!

გვაქვს გამორჩეული პატივი თერჯოლელებს დაბადების დღე მივულოცოთ ჩვენს თანამემამულეს, სრულიად საქართველოს საოპერო ხელოვნების დარგში აღიარებულ დიდ მაესტროს რამაზ ვაჟას ძე კუბლაშვილს, ვუსურვოთ ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და ახალ-ახალი შემოქმედებითი წარმატებები.

რამაზ კუბლაშვილს და მის დამსახურებას კარგად იცნობს „თერჯოლას“ მკითხველი.

საოპერო ხელოვნებაში 47-წლიანი მოღვაწეობის მანძილზე უბადლოდ შესრულებული როლებით, არაჩვეულებრივი ხმის ტემბრითა და ამავდროულად საოპერო სცენური არტისტიზმით მან მრავალი საინტერესო და წარმატებული ფურცელი ჩაწერა ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის ოპერისა და ბალეტის თეატრის ისტორიაში, მის განვითარებასა და წარმატებებში, რის საფასურად მოვიდა აღიარებაც და თაყვანისმცემელთა სიყვარულიც.

რამაზ კუბლაშვილი ასეთი რეგალიებით მოვიდა დღემდე: ქუთაისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი, პროფესორი, საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, ქუთაისის ღვაწლმოსილი მოქალაქე, ქუთაისის საპატიო მოქალაქე, თ. კობახიძის სახელობის პრემიის ლაურეატი.

რამაზ კუბლაშვილს 2018 წელს,

სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავზე, საქართველოს განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით, ქუთაისში, ოპერისა და ბალეტის თეატრის ეზოში ვარსკვლავი გაუხსნეს და საოპერო ხელოვნების უმაღლესი ჯილდო „ხელოვნების ქურუმის“ წოდება მიანიჭეს...

და კიდევ ვინ მოთვლის მისი საოპერო მოღვაწეობის 47 წელზე მეტი ხნის მანძილზე მის მიერ შესრულებული პარტიებით მოხიბლული მსმენელისა და მაყურებლისაგან რამდენი მხურვალე აპლოდისმენტი, აღიარება და სიყვარული დაუმსახურებია...

რაოდენ მნიშვნელოვანია და საამაყო ეს ყველაფერი ნებისმიერი შემოქმედისათვის, მითუმეტეს საოპერო ხელოვნებაში მოღვაწისათვის, ნამდვილად არ არის ადვილი ამის მიღწევა. მის უკან ხომ დიდი შრომა, ბრძოლა და შემოქმედებითი ნიჭი და უნარი მოისაზრება.

რამაზ კუბლაშვილი დაიბადა 1956 წლის 20 თებერვალს თერჯოლის რაიონის სოფელ ღვანკითში, საქართველოს სახალხო არტისტის, ვაჟა კუბლაშვილის ოჯახში. სიმღერა, ოჯახის ტრადიციისამებრ, ბავშვობიდანვე უყვარდა, ამიტომ იგი საშუალო სკოლაში სწავლის პარალელურად თერჯოლის სამუსიკო სკოლაშიც შეიყვანეს. შემდეგ კი მუსიკალური განათლების მისაღებად 1972 წელს ქუთაისის მუსიკალურ სასწავლებელში სიმონ კუხიანიძის კლასში აგრძელებს სწავლას. ჯერ კიდევ მეორე კურსზე იყო, როცა რამაზს ნოდარ ანდღულაძემ მოუსმინა და მისივე რჩევით სწავლა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში პროფესორ დიმიტრი მჭედლიძის კლასში ჩაირიცხა. კონსერვატორიაში რამაზ კუბლაშვილი სიყვარულით და პასუხისმგებლობით ეუფლება სწავლას. იგი მესამე კურსის სტუდენტი იყო, როდესაც უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა. 21 წლის ახალგაზრდა რამაზმა, თბილისის კონსერვატორიის საოპერო სტუდიაში უბადლოდ შეასრულა მალხაზის პარტია ზაქარია ფალიაშვილის ოპერაში „დაისი“, სწორედ აქედან დაიწყო საოპერო ხელოვნების დიდი სცენის დაპყრობა და რაც მთავარია, იგი საოპერო ვოკალის ისტორიაში შევიდა როგორც ერთ-ერთი პირველი და ამავე დროს დღემდე ერთადერთი შემსრულებელი 21 წლის ასაკში მალხაზის პარტიისა.

რამაზ კუბლაშვილის 70-ე საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა ვრცელი მისალოცი ტექსტი გამოაქვეყნა.

„საქართველოს სახალხო არტისტის, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატის ვაჟა კუბლაშვილის ვაჟი რამაზ კუბლაშვილი სახელოვანი მამის შემოქმედების ტრადიციათა საუკეთესო გამგრძელებელია. დიდი სცენის დაპყრობა კი ოთხი ათეული წლის წინათ დაიწყო, როდესაც 21 წლის ახალგაზრდის, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მესამე კურსის სტუდენტის (დიმიტრი მჭედლიძის კლასი) ტენორ რამაზ კუბლაშვილის შთამბეჭდავი დებიუტი შედგა მალხაზის პარტიით ზაქარია ფალიაშვილის „დაისში“ კონსერვატორიის საოპერო სტუდიაში.

კონსერვატორიაში სწავლის დასრულების შემდეგ 1979 წლიდან რამაზ კუბლაშვილის შემოქმედებითი კარიერა ქუთაისის ოპერის თეატრს დაუკავშირდა. აღსანიშნავია, რომ იგი ქუთაისის ქართული ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლშიც მოღვაწეობდა, ჯემალ ჭკუასელის ხელმძღვანელობით. 6 წლის მანძილზე 1986-1992 წლებში კი ზურაბ სოტკილავას ხელდასმით სტაჟირება გაიარა მოსკოვის დიდ თეატრში. მის შემდეგ კი აგერ უკვე 47 წელია უშურველად იხარჯება ჩვენი თეატრის სასიკეთოდ და სასახელოდ. ამ ხნის მანძილზე არ გამართულა პრაქტიკულად არც ერთი პრემიერა მისი აქტიური ჩართვის გარეშე. ის მუდამ მონაწილეობს სარეპერტუარო სპექტაკლებში და თეატრის საკონცერტო ცხოვრებაში.

მრავალფეროვანია მისი რეპერტუარიც: აბესალომი, მალხაზი, მურმანი (ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, „ლატავრა“, დოლიძის „ქეთო და კოტე“, მშველიძის „დიდოსტატის მარჯვენა“, თაქთაქიშვილის „მინდია“, „პირველი სიყვარული“, ლაღიძის „ლელა“, ანდრიაშვილის „კაკო ყაჩაღი“, თორაძის „ჩრდილოეთის პატარძალი“, ბეთჰოვენის „ფიდელიო“, ვერდის ტრავიატა“, „რიგოლეტო“, მასკანის „სოფლის პატიოსნება“, რიჩუნო პუჩინის „ჯანი სკიკი“, ლენსკი, ვიდემონი ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“ და სხვა.

რამაზ კუბლაშვილი მუდამ დიდი წარმატებით გამოდის სცენაზე, რამაც მას დამსახურებულად მოუტანა მსმენელთა დიდი სიყვარული და პატივისცემა.

შემოქმედებასთან ერთად პროფესორი რამაზ კუბლაშვილი აქტიურ, ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა. მისი არაერთი აღზრდილი წარმატებით ემსახურება ქართულ მუსიკალურ კულტურას.

ვულოცავთ ბატონ რამაზს იუბილეს და ვუსურვებთ დღეგრძელობას, შემოქმედებით წარმატებებს, სიხარულსა და ბედნიერებას. იხარეთ მრავალჟამიერ!“—წერია მისალოცში.

1995 წელს რამაზ კუბლაშვილი მონაწილეობდა პარიზში იუნესკოში გამართულ ქუთაისის „კულტურის დღეებში“, სადაც მომღერალმა დიმიტრი არაყიშვილის „ურმული“ შეასრულა. ამით მან კიდევ ერთი ლამაზი ფურცელი ჩაწერა როგორც თავის, ასევე ქუთაისის საოპერო თეატრის შემოქმედებით მატიანეში.

პროფესიის სიყვარული, მაღალი ვოკალური მონაცემები, პროფესიონალიზმი, ნიჭიერება, ყველაფერი, რაც წარმატებებს განაპირობებს საოპერო ხელოვნებაში, ანუ მთელი ეს ბუნებრივი სიმდიდრე უხვად აქვს მომადლებული ბატონ რამაზს, რაც გახდა საფუძველი მისი წარმატებული საოპერო კარიერისა და ყველა ზემოთჩამოთვლილი ჯილდო თუ წოდებაც ამის აღიარებაა.

რამაზ კუბლაშვილი არასოდეს მოწყვეტია საკუთარ ფესვებს. მიუხედავად იმისა ქუთაისში ცხოვრობს და მოღვაწეობს, იგი დღემდე თერჯოლის ფოლკლორული ანსამბლ „იმერეთის“ საპატიო წევრია, ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიების მონაწილეა. „იმერეთთან“ ერთად, რომლის წარმატებულ გამოსვლებში დიდი წილი მას ეკუთვნის...

თერჯოლა, მშობლიური ღვანკითი ის ადგილია, სადაც ყველაზე ახლოსაა საამაყო წარსულთან, ბავშვობის მოგონებებთან... სადაც იყო ხელოვნების, სიმღერის ტრადიციების ერთგულების ყველა მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვრო, რომ „წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე“... ასე ცხოვრობდა ბატონი ვაჟა კუბლაშვილი, ასე აგრძელებენ შვილებიც...

* * *

გასულ წელს თერჯოლამ რეაბილიტირებული სამუსიკო სკოლის და ვაჟა კუბლაშვილის ძეგლის გახსნა იზეიმა. უამრავი თერჯოლელი და მოწვეული სტუმარი ჰყავდა იმ დღეს თერჯოლას. იყო გამომსვლელები, მოგონებები, სიყვარულის, სიხარულისა და მადლიერების გაცხადებაგაზიარებები. კონცერტმა სამუსიკო სკოლის მომღერალ-მუსიკოსთა და შემსრულებელთა მონაწილეობით მოწონება და აპლოდისმენტები დაიმსახურა... იმ დღეს დაუვიწყარი ნომრები შესრულდა გულთამზე, ვალერი და რამაზ კუბლაშვილების მიერ, რომლებსაც კიდევ ერთი დედმამიშვილი, იამზეც შეუერთდა. იყო სიხარულის ცრემლებიც...

დიახ, რამაზ კუბლაშვილი მნიშვნელოვანი და საამაყო კაცია თერჯოლელებისათვის, ღვანკითელებისათვის, ქუთაისისათვის და სრულიად საქართველოსათვის, ხელოვნებით, კეთილშობილებით, თავმდაბლობით, პიროვნული თუ გარეგნული ღირსებებით შემკული და გამორჩეული...

კიდევ ერთხელ ვულოცავთ 70 წლის იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ოჯახურ ბედნიერებას და წარმატებებს საყვარელ საქმიანობაში!

მრავალჟამიერ ბატონო რამაზ!

მზია ცქიფურიშვილი

გამარჯვება მეოთხედ ნომინაციაში „ციცქა“

ღვანკითში, მამა-პაპის ფუძეზე ცხოვრობს ირაკლი კუბლაშვილი, როგორც თვითონ თქვა, ძალიან უყვარს სოფელი, ის მიწა, რომელზედაც მისი წინაპრები ცხოვრობდნენ, შრომობდნენ, ქმნიდნენ.

მიწა, ვენახი, სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, მისთვის არ არის მარტო შემოსავლის წყარო, ირაკლი და მისი წინაპრები უპოვრები არასდროს ყოფილან, მძიმე ფიზიკური შრომის გარეშედაც იცხოვრებდნენ, მაგრამ მიწას და სოფელს არ შელევიან. ირაკლის ხუთი შვილი სწორედ ამ მიწის და სახლკარის სიყვარულით იზრდება.

სუვენირმა საპატიო ადგილი დაიკავა

2025 წლის 18 ნოემბერს „თერჯოლობის“ ზეიმზე, ირაკლი კუბლაშვილი მეოთხედ დასახელდა, როგორც საუკეთესო ღვინის მფლობელი და გახდა ნომინაციაში „ციცქა“ გამარჯვებული. კითხვას—რა გრძნობაა სახლის პირობებში დამზადებული ღვინის ასეთი აღიარება—უპასუხა, რომ ეს პატივია და პასუხისმგებლობა, რომ იგი დიდ პატივს სცემს სოფლის მეურნეობის ამ მნიშვნელოვან დარგს, სულსა და გულს დებს საქმეში, სუვენირი, რომელიც გადასცეს, საპატიო ადგილს იკავებს მის ოჯახში, რომ ეს პატარა ნივთი ისტორიაა და შემდგომი თაობებიც იამაყებენო...

* * *

1000 ძირი სრულმსხმოიარე ვენახი აქვს ირაკლის, ძირითადად ციცქა, აქა-იქ ცოლიკაური, რომელსაც ცალკე კრიფავს. საშუალოდ 3 ტონა ყურძენს იღებს და წურავს, აყენებს საუკეთესო ღვინოს. მარანში—საღვინე სახლში—აქვს „უამრავი“ უჟანგავი ფოლადის, სხვადასხვა ზომის ჭურჭელი, სხვა საჭირო მოწყობილობა.

ვენახს კარგად უვლის, დროულად ატარებენ ვენახში ყველა სახის სამუშაოებს: სხვლა-ფორმირებას, გამობარვა-გამოთოხნას, მწვანე ოპერაციებს, 10-12-ჯერ წამლავენ, ყველა იმ საქმეს აკეთებს, რაც შეუძლიათ, რაც კარგად იციან, მთავარი მაინც ისაა, რომ შვილები მიწის, ვენახის, შრომის სიყვარულით იზრდებიან.

ირაკლის აქვს საფუძველი გააშენოს ახალი ვენახები, ძირითადად ციცქას გააშენებს.

* * *

ირაკლის მეუღლე ინგა ჯალიაშვილი, ღვანკითის საჯარო სკოლის დირექტორი, კარგი ხელმძღვანელი, კარგი პედაგოგია, მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს პედაგოგიურ საზოგადოებაში, მშობლებში, მოსწავლეებში, უყვართ და აფასებენ, მშრომელია, ოჯახზე, შვილებზე, მოსწავლეებზე შეყვარებული.

ინგასა და ირაკლის შვილები: ავთანდილი 25 წლის უმაღლესი განათლებით, გიორგი 23 წლის, სტუდენტი, ანა 19 წლის უმაღლესი განათლებით. კონსტანტინე 13, ცოტნე 9 წლისაა, ხუთივე კარგად აღზრდილი. ჰყავთ ერთი შვილიშვილი—10 თვის მართა.

ძალიან პატარები იყვნენ კონსტანტინე და ცოტნე, როცა სამების საკათედრო ტაძარში საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ მონათლა, ჰყავთ სხვა ნათლიებიც, ისინი ამაყობენ, რომ ხვდათ ბედნიერება მონაწილეობა მიიღონ ახალი აღთქმის ერთ-ერთი საიდუმლოს აღსრულებაში პატრიარქთან ერთად.

დიახ, პატარები იყვნენ კონსტანტინე და ცოტნე—ახლა კი შეუძლიათ გააცნობიერონ რას ნიშნავს იყო პატრიარქის ნათლული, მიაჩნიათ, რომ „ილია მეორის ნათლულობა განსაკუთრებულად უდიდესი მადლია. ამ მადლს თან სდევს პასუხისმგებლობა, სიმტკიცე, სიყვარული—ძალა, რომელსაც პატარაობიდანვე გრძნობენ“. ცოტნე და კონსტანტინე პატრიარქის ნათლულობას ჯეროვანი თავდადებით, მაგრამ დიდი მოტივაციით და ბავშვური სუფთა გულით ატარებენ.

სინათლით სავსე ბავშვები

კონსტანტინე:

„პატრიარქის ნათლულობა ჩემთვის დიდი სიამაყეა. ეს პასუხისმგებლობას მაკისრებს, რომ სულიერ ცხოვრებას მეტად დავუახლოვდე და მუდამ ვიდგე ღვთის სამსახურში. მინდა მომავალში ჩოხოსანთა რაზმს შევუერთდე და ვიქცე იმ ღირსეული საქმის გამგრძელებლად, რომელსაც ჩვენი პატრიარქი გვასწავლის. ჩემთვის პატრიარქის ერთგულ ჯარისკაცად ყოფნა ნიშნავს სიკეთეს, სიძლიერეს, სიყვარულსა და მსხვერპლისთვის მზაობას. მინდა, როგორც პატრიარქს ვუყვარვართ ჩვენ, მეც ისე მიყვარდეს ჩემი ხალხი, ჩემი ოჯახი და ჩემი საქართველო.“

ცოტნე:

„იმიტომ რომ პატრიარქის ნათლული ვარ, ვგრძნობ პასუხისმგებლობას ვიცხოვრო ქრისტეს მცნებებით. მინდა გულითა და სულით ვიყო ჩოხოსანი — მამაცი, სიკეთით სავსე და მოსიყვარულე. ჩემთვის ღირსეული ტახტის მცველობა ნიშნავს ქრისტეს გზაზე სიარულს, ღვთის სიყვარულს და პატრიარქისადმი ერთგულებას. მინდა, ვგავდე იმ ადამიანებს, რომლებიც რწმენას, ქვეყანას და პატრიარქს ღირსეულად ემსახურებიან.“

კოსტანტინეს და ცოტნეს, როგორც პატრიარქის ნათლულებს, გარდა ფიზიკური ყოფიერებისა, მუდამ ემახსოვრებათ სულიერი ცხოვრება, ყოველთვის მოისმენენ „ზეცის ხმას“, იცხოვრებენ ქრისტეს მცნებებით და მამულის ღირსეული შვილები იქნებიან. ქალბატონმა ინგამ და ბატონმა ირაკლიმ კი იციან, რომ ადამიანის უპირველესი დანიშნულება არის ოჯახი და მასზე ზრუნვა, რომ შვილების კარგად აღზრდა დიდი ღვაწლია ერის წინაშე...

ორი ძმა—კონსტანტინე და ცოტნე კი მარტო პატრიარქის ნათლულები, პატრიარქის კურთხევის მატარებლები კი არა, არამედ მომავლის იმედებიც არიან...

ავტორიზებული სკოლა

მუნიციპალიტეტში შვიდი ავტორიზებული სკოლაა (თერჯოლის №2, სიქთარვის, რუფოთის, ქვ. სიმონეთის №2, ჩხარის №1 და ჩხარის №2 საჯარო სკოლები, კერძო სკოლა „მზეკაბანი“). კერძო სკოლა „მზეკაბანის“ და სიქთარვის საჯარო სკოლების (აზა მემანიშვილი, ია კვატაია) დირექტორებმა უკვე უპასუხეს ჩვენ ერთადერთ კითხვას—რა ძირითადი მოთხოვნები დააკმაყოფილეთ და რა გავლენა მოახდინა (მოახდინეს) ეს სტატუსი სკოლის წარმატებებზე.

კითხვას პასუხობს რუფოთის საჯარო სკოლის დირექტორი კოტე გოგიაშვილი:

სოფელ რუფოთის საჯარო სკოლამ 2023 წლის ოქტომბერში წარმატებით გაიარა პირველი ავტორიზაცია. მოგეხსენებათ, ეს პროცესი გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, თუმცა სკოლის დირექცია და პედკოლექტივი მზად აღმოჩნდა ამ გამოწვევის დასაძლევად.

მხარდამჭერ ჯგუფთან ერთად გავიარეთ სამუშაო პროცესი, სკოლის მისია განახლდა სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით, რომელიც გრძელვადიან განვითარებად მიზნებზეა გათვლილი და განსაზღვრავს სკოლის როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.

სკოლა წარმატებით ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს სწავლების ყველა საფეხურზე. ავტორიზაციის პროცესმა ჩაიარა საქმიან, კონსტრუქციულ და მშვიდ ვითარებაში.

აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს სკოლამ შექმნა ყველა პირობა პროცესის სათანადოდ წარმართვისათვის, გამოავლინა თანამშრომლობის მაღალი კულტურა.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში.

პირველი სტანდარტის შესაბამისად სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებსა და მიზნების შესაბამის ამოცანებს.

მეორე სტანდარტი—სასკოლო კურიკულუმი-ძალიან მნიშვნელოვანია, რომელიც შემუშავებულია ცალკეული საგნობრივი კათედრის მიერ. პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები, რაც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავებას, დანერგვას, დანერგვის პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას, მის გადასინჯვასა და რევიზიას, სკოლაში გადანაწილებულია, მასში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და პრიორიტეტები.

სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ახლად გარემონტებულ შენობაში, რითაც აკმაყოფილებს ავტორიზაციის სტანდარტს, ინფრასტრუქტურული გამართულობისათვის. სკოლას რემონტი ჩაუტარდა მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, რისთვისაც დიდი მადლობა მათ.

მესამე სტანდარტის შესაბამისად, სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული ერთეულები სათანადო დონეზეა.

მეოთხე სტანდარტი გულისხმობს მოსწავლეთა მხარდაჭერას. სკოლა უზრუნველყოფს როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალური განათლების მიმართულებას.

ფუნქციონირებს სასკოლო კლუბები და წრეები. „STEAM-ჩხირკედელა“; ლიტერატურული კლუბი „წიგნიერი“; მკითხველთა კლუბები დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთათვის; ინტელექტუალთა კლუბი „რა? სად? როდის?“; გერმანული ენის შემსწავლელი წრე „Warum Deutsch“.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღინიშნა სკოლის საუკეთესო პრაქტიკა—სკოლა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად ლიდერობას უთმობდა არაფორმალურ განათლებას, ხელს უწყობდა კომპიუტერული ტექნოლოგიების და ფიზიკის სწავლებას. სკოლაში შეინიშნება გარემოზე ზრუნვა და სასკოლო საზოგადოების გუნდური მუშაობა. მაღალი შეფასება მიიღო მოსწავლეთა ხელით შექმნილმა მაკეტებმა. მოწონებული იქნა სკოლის ინფრასტრუქტურისა და იმ ნამუშევრების ამსახველი ფოტომასალა, რომლებიც მოსწავლეების მიერ იყო შექმნილი სწავლა-სწავლების პროცესში. მაღალი შეფასება მიეცა სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებს, განმსაზღვრელ და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკების ნიმუშებს, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ კომპლექსურ დავალებებს, პროექტების მტკიცებულებებს.

დადებითად შეფასდა სსსმ მოსწავლეებთან განხორციელებული აქტივობები, რომლებიც არის მრავალფეროვანი, დიფერენცირებული, მოსწავლის შესაძლებლობაზე მორგებული საგნობრივი ინდივიდუალური გეგმის მიხედვით. მოწონებული იქნა სკოლაში არსებული კლუბების მუშაობა, მაღალი შეფასება მიეცა სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობას.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების დაცვის შესახებ, რომელიც უნდა განახორციელოს სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიურომ. ასევე მოსანესრიგებელია სახანძრო ავზის მოწყობის საკითხი.

ახლახან ავტორიზებულ სკოლებს შეემატა ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა, ავტორიზაციის ექსპერტიზის კომისიის დასკვნას ელოდებიან. ამ და სხვა ავტორიზებული სკოლების შესახებ მომავალ ნომრებში.

გვერდის ავტორი ჟუჟუნა ცხადაძე

„მოგონებები ნოსტალგიური“

ასე ჰქვია ლექსად ჩამომარცვლილ სტრიქონებს, რომელიც „თერჯოლას“ 80 წლის აფხაზეთიდან დევნილმა პენსიონერმა რეზო კუპატაძემ გამოუგზავნა.

ბატონი რეზო თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა საზანოში დაიბადა 1945 წლის 23 დეკემბერს, 1963 წელს დაამთავრა აღნიშნული სოფლის საშუალო სკოლა.



„მე ვეკუთვნი 50-60-იანი წლების იმ თაობათა რიცხვს, რომელიც აღიზარდა საბჭოთა იდეოლოგიური აღზევების ხანაში, როცა დიდსა თუ პატარას ღრმად სწამდა ქვეყნის ნათელი მომავლისა, ეს იყო ერთი მხრივ მძიმე, მაგრამ ენთუზიაზმით აღსავსე წლები. ჩემს მშობლიურ სკოლას საზანოში გააჩნდა მდიდარი ბიბლიოთეკა, სადაც ჩემს თანატოლებთან ერთად ვეზიარებოდი ქართველ და მსოფლიო კლასიკოსთა შედევრებს. სკოლას ჰყავდა მაღალი დონის პედაგოგმასწავლებლები, რომელთა ძალისხმევითა და დამსახურებით სკოლას მრავალჯერ მოუპოვებია წარმატება სხვადასხვა კონკურსებსა და ოლიმპიადებში რესპუბლიკის მასშტაბით. განსაკუთრებით მინდა გამოვყო და პატივისცემით გავიხსენო ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, უნიჭიერესი ქალბატონი, ნანული ზარნაძე, ის გახლდათ თავისი საგნის უბადლო მცოდნე, მას თავისი განათლებითა და პედაგოგიური ხელოვნებით შეეძლო დაეპყრო უფრო დიდი აუდიტორიებიც კი ვიდრე სკოლა იყო. სწორედ მან შეგვაყვარა მოსწავლეებს მშობლიური ენა და ლიტერატურა, პოეზია“—წერს ბატონი რეზო „თერჯოლისთვის“ გამოგზავნილ წერილში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დაამთავრა ქუთაისის სამთო მექანიკურ-ტექნიკური ტექნიკუმი და აფხაზეთში, კერძოდ, ტყვარჩელში ქვანახშირის საექსპლოატაციო უბნებში იწყებს მუშაობას.

ბატონი რეზო აფხაზეთში დაოჯახდა, იქაური ქალბატონი შეირთო, ორი შვილი შეეძინა და ალბათ იქვე გააგრძელებდა ცხოვრებას, რომ არა აფხაზეთში დატრიალებული სამწუხარო რეალობა. მან ჯერ ცოლ-შვილი გამოაგზავნა სამშვიდობოს, მოგვიანებით თვითონაც დაბრუნდა. ერთხანს საზანოში, მშობლიურ სოფელში დაჰყო, შემდეგ კი ცილშვილით თბილისთან, წყნეთში, დაიდო ბინა, სადაც დღემდე ცხოვრობს. დრო და დრო საზანოს სტუმრობს, აქაურობას და ბავშვობის წლებს ესათუთება, ტკივილით იგონებს აფხაზეთში გატარებულ წლებს და მიტოვებულ კერიას, თუმცა ეს სტრიქონები, რომელსაც აქვე ვთავაზობთ მკითხველს გაცხადებაა იმისა, რომ განსაკუთრებული მოგონებები და ემოციები შემორჩენია იმ ალაგისა, სადაც დაიბადა, ბავშვობა და სიყმაწვილე გაატარა და დღემდე მისი სიყვარულითა და ფესვებით საზრდოობს...

მოგონებები ნოსტალგიური

განშორებიდან მრავალ წლის შემდეგ
კვლავ მივაშურე ძუსის ნაპირებს,
როგორც ოდესღაც ცელქი ბიჭუნა
ისევ მორევში ცურვას ვაპირებ.
ისევ ნაცნობი ქარის ლიცლიცი
თეთრი ლოდები, ქვიშის სურნელი
გარს მეხვევიან ნოსტალგიური
მოგონებები მარად ულევი.
მოგონებების უდაბნო ვრცელი
და ოკეანე ფაფარაშლილი,
ამ კლდეებს ექოდ შემორჩენიათ
ტკბილ-მწარე დღეთა გამოძახილი.
აქ ჩაიქროლეს ბავშვობის წლებმა,
ღამეს დღე ცვლიდა და ქროდა ქარი,
თეთრი ღრუბლების ქარავანს გაჰყვა,
ობოლი ბიჭის ნაოცნებარი.
მრავალმა წყალმა აქ ჩაიარა
დროს გაუმართავს წელთა მარულა
და როგორც თოვლი ზამთრის ღამეში
ჭაღარაც ისე შემოპარულა.
და ნოსტალგიაც ყველგან თან
მსდევდა,
შორს ყინულეთში თუ ზღვისპირეთში,
ყაყაჩოებით მოჩითულ ველზე,
თუ მიწისქვეშა ლაბირინთებში.
ფიქრით მივყვები ნაცნობ ბილიკებს,
ენაცვლებიან სერებს სერები,
მინდვრად მორბენალ ერთ ცელქ
ბიჭუნას
ვეალერსები და ვეფერები.
ეს ონავარი ბიჭუნაც მე ვარ,
ისევ ბობოქრობს ფიქრის მდინარე,
და ჰოროსკოპით საღამოს ცაზე
წევს ზოდიაქოს „ლომი“ მძვინვარე.
კვლავ ცოცხლდებიან პეიზაჟები,
ცისფერ სიზმრებში ხშირად ნახული,
დგას ბაზილიკა ჟამთასვლის მოწმე,
სულში სათუთათ შემონახული.
ამ მაღლობიდან უმთვარო ღამით
ვარსკვლავთმრიცხველი ბრძენი
ზანები
ზეცაში ჭვრეტდნენ ქვეყნის მომავალს,
შორს სადღაც მთებში რეკდნენ
ზარები.
ბაზილიკასთან ისევ უცვლელად
გადარჩენილი ჟამთა სიავეს,
დგას გოლიათი ბებერი ძელქვა
ტოტებგაშლილი მემატიანე.
ვდგავარ ცრემლებით მორწყულ
მიწაზე,
სადაც გოდება ცას შესწვდენია,
მოგონებები წუხილით სავსე,
ამქვეყნად მეტი რა დაგვრჩენია.
დავიარები საფლავებს შორის
სულში ჩამესმის ნაცნობი ხმები,
სევდამორეულ ღიმილს მაფრქვევენ
გარს მოჯარული ბაზალტის ქვები.
მათ აჩრდილებთან მწვავე ფიქრები
ისევ წარსულის კვლავდაკვალ რბიან,
კვლავ შორს მიჰქრიან თეთრი
ღრუბლები
ქარებიც ისე ქრიან და ქრიან.
ყოველი მხრიდან შემომცქერიან,
ნაცნობი მთები და მწვერვალები,
და მათთან ერთად მოგონებებიც
გარინდებულან, როგორც ლანდები.
წითლად ელვარე მთათა კალთებზე,
მზის სხივთა ბოლო ათინათია
ეს ყოველივე უჩინარ მხატვარს
თითქოს ტილოზე დაუხატია.
მზე იძირება ჰორიზონტს მიღმა,
ჩიტების სტვენა ჯერაც გაისმის,
ხეთა ჩრდილები ქსოვენ გობელენს,
ძუსის ხეობას უხმობს დაისი.
და კიდევ ერთხელ დღეს შეცვლის
ღამე,
ზეცა მოისხამს მრუმე მანტიას,
თან სინანულით გული მევსება,
აქ რომ ვერ ვხვდები ლამაზ განთიადს.
მემშვიდობება ქარი ლიცლიცით,
დგანან დუმილით თეთრი ლოდები
ამ დაუვიწყარ და ლამაზ სერებს
ფარული სევდით ისევ ვშორდები.
როგორც ყოველთვის წინ გრძელი
გზა მაქვს,
გზა შორეული—მარადიული,
მოგონებები მარად მშფოთვარე
მოგონებები ნოსტალგიური.

ბიბლიოთეკარის ღირსეული გაცილება

არიან ადამიანები, რომლებიც პროფესიის სიყვარულით, თავდადებითა და ერთგულებით ასრულებენ თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას და პიროვნული თვისებებით, ურთიერთობის ბუნებრივი ხელოვნებით ლამაზად და მყარადაც იმკვიდრებენ თავს.

ეს სტრიქონები იწერება სკოლის ბიბლიოთეკარზე, რომელიც 50 წლის მანძილზე, ანუ ნახევარი საუკუნე სპეციალური განათლების მიღების შემდეგ მუშაობა დაიწყო ძევრის სკოლაში და ორმოცდაათი წლის შემდეგ დაასრულა თავისი პროფესიული მოვალეობის შესრულება.

ძევრის სკოლა ერთ-ერთი წარმატებული და გამორჩეულია მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეში მუნიციპალიტეტის სკოლებს შორის. მეცნიერების საფუძვლებთან ერთად აქ მოსწავლეები გადიან პატრიოტიზმის, მამულის სიყვარულისა და მისთვის თავდადების საუკეთესო „გაკვეთილებს“, რომელსაც ვერაფერი ამოშლის მათი გონებიდან...

ერთ-ერთი ასეთი დღე იყო სკოლიდან ბიბლიოთეკარის, ქალბატონ გულვარდი (გულიკო) აბჟანდაძის გაცილება.

ქალბატონი გულიკო თერჯოლაში დაიბადა, 1976 წლიდან მუშაობდა ძევრის სკოლაში, იგი სამი შვილისა და ექვსი შვილიშვილის ბებიაა. 50 წლის მუშაობის შემდეგ პენსიაზე გასვლა გადაწყვიტა, ამიერიდან იგი ოჯახში იფუსფუსებს, შვილებსა და შვილიშვილებს მოეფერება, მეტ დროს გაატარებს მათთან, სახლკარსა და ეზო გარემოსთან, მეზობელ-ნათესავებთან.

იმ ლამაზ დღეს იყო სევდიანიც, საყვარელ საქმესთან, შესისხლხორცებულ სკოლის კოლექტივთან, საყვარელ ბავშვებთან, მკითხველებთან განშორების გამო, თუმცა, იყო ბედნიერიც...

სკოლის მიმდებარედ შეიკრიბნენ მისი საყვარელი ადამიანები, პედაგოგები და მოსწავლეები, იყო სამადლობელი და კეთილი სურვილების გამომხატველი სიტყვები... შემდეგ კი სკოლაში მოღვაწეობის „ბოლო ზარი“ თავისივე ხელით დარეკა... ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე უსურვეს ამაგდარ ქალბატონს და ხალიჩაზე საპატიო მსვლელობით და აპლოდისმენტებით გააცილეს შინისაკენ...

იყო დაფასებისა და მადლიერების დაუვიწყარი წუთები ქალბატონი გულიკოს ცხოვრებაში.

ძევრის სკოლის მოსწავლეებისთვის იყო კიდევ ერთი ლამაზი „გაკვეთილი“, იმისა, თუ როგორ ფასდება ღვაწლი და უანგარო, პატიოსანი, ქვეყნისათვის თავდადებული შრომა, სადაც არ უნდა იყო და რომელ საქმესაც არ უნდა ემსახურებოდე...

ბედნიერი „დასვენება“ და დიდხანს სიცოცხლე ქალბატონ გულიკოს, ძევრის სკოლას, მოსწავლეებს და მის დირექციას, აღმზრდელ-პედაგოგებს კი კვლავაც უამრავი შინარსიანი და წარმატებული დღე...

მზია ცქიფურიშვილი

იმედიც და ხელმისაწვდომობაც

სიქთარვის საექიმო ამბულატორია ყოფილი საავადმყოფოს ორ ოთახშია განთავსებული. ძველი შენობა მთლად უსაფრთხო არ არის, მაგრამ ოთახებს რამდენიმე წლის წინ გამაგრებითი და სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა და მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ აკლიათ, „მოთქმა-წუწუნი“ ამბულატორიის თანამშრომლებს არ დაუწყიათ, ჩუმად, უპრეტენზიოდ მუშაობენ.

ამბულატორიას ჰყავს ოჯახის ექიმი ლია კახიძე, რომელიც 2010 წლიდან მუშაობს და სიქთარველების მშვენიერმა რძალმა უმალვე მოიპოვა სიყვარული და პატივისცემა, რადგან კარგი ექიმია, გულისხმიერი და თავისი საქმის მცოდნე. ამბულატორიაში განსაკუთრებული დატვირთვით „კოვიდ-19“-ის პერიოდში მუშაობდნენ, ლია ექიმი, ოჯახის ექთან, გამოცდილ, 43 წლის სამუშაო სტაჟის მქონე ნარგიზ სირბილაძესთან ერთად კარდაკარ დადიოდა, პროპაგანდას ეწეოდა, აცრებითა და რჩევებით, ბევრს ააცილეს დაავადება და ბევრიც გამოაჯამრთელეს. დიდი ძალისხმევა სჭირდებათ სეზონური გრიპის ვაქცინაციისათვის, მარტო ამ სეზონზე ვაქცინაცია 160-ზე მეტ ბენეფიციარს ჩაუტარდა. ამბულატორიაში მოსულ ადამიანებს განუმარტავენ აცრების აუცილებლობაზე, ლია ექიმი ამბობს, რომ გრიპის ვირუსით აცრილთა მომართვიანობა შემცირდა, ვინც მიმართავს საკმაოდ მსუბუქი ფორმით. წარმატებით სრულდება 14 წლამდე ბავშვთა გეგმიური პროფილაქტიკური აცრები.

არის დღეები, როცა ლია ექიმი 10-15 ავადმყოფს იღებს, ზოგჯერ ნაკლებსაც და წლიურად ამბულატორიაში 2000-მდე ავადმყოფი იღებს დახმარებას, ქალბატონი ლიას დასმული დიაგნოზი, რაც ამბულატორიულ პირობებში შეიძლება დაისვას უტყუარია. სიქთარველ ავადმყოფებს ბევრ შემთხვევაში სოფლიდან გასვლა არ სჭირდება, პაციენტთა დიდი ნაწილის აზრით: „ლია ექიმი გულისხმიერია“, „იმედიანი“, „ჩემი შვილები მასთან დამყავს, სხვაგან წასვლა არც მიფიქრია და არც დამჭირვებია“, „ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ მას“ და სხვა.

დანამდვილებით არ ვიცი ახლადკურსდამთავრებული ექიმები მუშაობის დაწყებისას დებენ თუ არა ჰიპოკრატეს ექიმის ფიცს, მაგრამ ლია ექიმს, რომ ეს ფიცი წარმოთქმული აქვს და ეს ფიცი არასოდეს დაურღვევია ნამდვილად იციან სიქთარველებმა.

ჟუჟუნა ცხადაძე

მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალურ ცენტრში „ადგილი ესე წმიდა არს“

4 ☜

სიტყვები, რომელიც ოდესღაც მოისმინა ღვთისმხილველმა და დიდმა წინასწარმეტყველმა მოსემ: „გაიხადე ფეხსაცმელი ფერხთაგან შენთა, რადგანაც მიწა, რომელზედაც დგახარ, ადგილი წმიდა არს“.

მოკლემეტრაჟიანი ფილმის „სახლის ძახილი“, რომლის პრემიერაც იმ დღეს შედგა და რომელმაც კინოფესტივალზე „თბილისური აისი“, გასულ წელს, ნატალია მიზანდარის სპეციალური პრიზი დაიმსახურა, მაყურებელში ტკივილიანი ემოციები კიდევ უფრო გაამძაფრა. ამ პატარა, შვიდწუთიანმა ფილმმა, ერთი ოჯახის მაგალითზე, კარგად აჩვენა დღევანდელობის სავალალო გამოწვევა. ცრემლების გარეშე ვერ მოისმენთ სასწავლებლად გაშვებული შვილისადმი მამის ვედრებას—„უკან მოსაბრუნებელი გზა არ დაგავიწყდეს ბიჭო, ნასახლარს არ დამიმგვანო აქოურობა“... თუმცა ფილმში იმედისმომცემად ჟღერს სიტყვები „აქ ჩემი ფესვებია“...

წარმოდგენილი ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიციის მიზანიც ესაა, რომ ახალგაზრდობამ არ დაივიწყოს ისტორია ქვეყნის, თავიანთი სოფლის, ოჯახების წარსული და ამასთან შეახსენოს თითოეულს: „აქ ხარ საჭირო“...

ღონისძიებას ვიდეოჩანაწერებით შემოუერთდნენ: კინოფესტივალ „თბილისური აისის“ სულისჩამდგმელი, თბილისის ეროვნული სასახლის კინოკლუბის მემატიანე, თბილისის საპატიო მოქალაქე, არაერთი ჯილდოს მფლობელი გრიგოლ ჩიგოგიძე და გამორჩეული ორიგინალური პრიზის ავტორი, ხელოვანი ნატალია მიზანდარი. მათ ფილმისა და მისი შემოქმედებითი ჯგუფის მიმართ გამოხატეს მადლიერება და მოწონება, რაც აისახა კიდევაც ფესტივალის შედეგად პრიზის გადაცემაში.

ღონისძიების მონაწილეებმა მადლობა გადაუხადეს: მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ყველა თანამშრომელს, დირექციას, საზოგადოებას, ცქიფურიშვილების ოჯახს, რომლის რეალური ისტორია დაედო საფუძვლად ფილმის სიუჟეტს, ოპერატორს და მონტაჟეს, პავლე წულაიას, ფილმის სცენარისტს და რეჟისორს ქალბატონ რუსუდან კოვზირიძეს, პატარა მსახიობებს, რომლებმაც მხარი დაუმშვენეს პროფესიონალებს სერგო კირკიტაძეს და ნატა ცხადაძეს.

შემდეგ იყო სტუმრად მყოფი სერგო კირკიტაძის ემოციური გამოსვლა და სამადლობელი, ასევე ნატა ცხადაძის შორიდან ვიდეო მიმართვით მისალმება და მადლიერების გამოხატვა.

ხაზგასმით აღინიშნა სამადლობელი ქალბატონ ნინო ოქრუაძის და მისი დიდი ძალისხმევის თაობაზე—ფილმის გადაღებისას ყველა ორგანიზაციული საკითხის მოსაგვარებლად.

ცენტრის დირექტორმა ნათია მოსიაშვილმა თავის მხრივ მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს და ყველა მათგანს, ვინც მონაწილეობა მიიღო ფილმისა და წარმოდგენილი ღონისძიების მომზადებაში. მადლობა გადაუხადა ასევე მერიას თანადგომისათვის.

მამა ქრისტეფორემ (ცერცვაძე) და მამა ანდრიამ (ყიფიანი) დალოცეს და წარმატებები უსურვეს ცენტრის აღსაზრდელებს და შეკრებილ საზოგადოებას. მერიის განათლების კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა მაკა ასათიანმა მადლობა გამოხატა და წარმატება მიულოცა ცენტრის პედაგოგიურ კოლექტივს, აღსაზრდელებს, ღონისძიების დაგეგმვისა და განხორციელების კლუბის ბავშვებსა და მათ პედაგოგს რუსუდან კოვზირიძეს მაღალ დონეზე მომზადებული, აქტუალური თემებით დატვირთული ღონისძიების გამო, ეს ღონისძიება ყველა ახალგაზრდამ უნდა ნახოს—ასეთია მაკა ასათიანის სურვილი. თავად ამ სახლში გაზრდილმა გურამ თურქაძემ მომავალ თაობას ახალი წარმატებები უსურვა.

ღონისძიებას განსაკუთრებული ხიბლი შესძინა მუსიკალურმა გაფორმებამ და ანსამბლ „ბერიკონის“ მოცეკვავეების მიერ საოცრად შესრულებულმა ცეკვა „სამაიამ“.

ჩემი დიდი სურვილის მიუხედავად არ ვიცი რამდენად აისახა ამ შეზღუდულ საგაზეთო სტატიაში მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის მიერ წარმოდგენილი მართლაც არაჩვეულებრივი ღონისძიების არსი და მიზანი. ეს იყო ერთი დიდი გაკვეთილი არა მხოლოდ ღონისძიების მონაწილე ახალგაზრდებისათვის, არამედ მოწვეული სტუმრებისათვის, მაყურებლებისათვის, რომლებმაც შეიძლება არ იცოდნენ ვინ ვართ, საიდან მოვდივართ, რა გზებით ვიარეთ, როგორ უნდა ვიხსენიებდეთ ქვეყნისათვის თავდადებულ გმირებს, ადამიანებს, რომლებიც სიბრძნით, გონიერებითა და გამჭრიახობით უძღვებოდნენ ქვეყანას, წყლულებს უამებდნენ მამულს და სიცოცხლესაც უყოყმანოდ სწირავდნენ სამშობლოს ღირსებისა და მისი გადარჩენისათვის...

ფუნჯითა და ფერებით გაცხადებული სიყვარული

5 მარტს ახალი ვერნისაჟი გაიხსნა თერჯოლის საგანმანათლებლო სამხატვრო სკოლის საგამოფენო დარბაზში, რომელიც გაზაფხულის ულამაზეს დღესასწაულს დედის დღეს მიუძღვნეს ნორჩმა „მხატვრებმა“. სიყვარულითა და პასუხისმგებლობით შესრულებულმა ნამუშევრებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ დედა უპირველესი სიყვარულია, თითოეულის შემოქმედებისა და შთაგონების წყარო.

დამთვალიერებლები გამოფენას როგორც ყოველთვის ამჯერადაც მრავალი ჰყავს. აქ არიან მოსწავლეთა მშობლები, მეგობრები, სტუმრები კულტურისა და სახელოვნებო განათლების ცენტრიდან, ხელმძღვანელი მუშაკები, საზოგადოების წარმომადგენლები.

სკოლის საგამოფენო დარბაზის კედლებიდან, როგორც ყოველთვის სითბო, სიყვარული და რაც მთავარია, სილამაზე იქცევს ყურადღებას.

სკოლის დირექტორმა ქალბატონმა თამარ ღარიბაშვილმა დედის დღე და ახალი გამოფენა მიულოცა უპირველესად აღსაზრდელებს, რომლებმაც იმუშავეს როგორც ხატვის ხელოვნების შესწავლისათვის, ასევე გამოფენებისათვის, მიულოცა აგრეთვე მშობლებს, მოწვეულ სტუმრებს, უსურვა მათ ჯანმრთელობა, სიხარული, მშვიდობიანი გაზაფხული და ბედნიერი დედობა.



ქალბატონმა თამარმა ისაუბრა სკოლის მიმართ მოსწავლეთა დაინტერესებაზე, ბავშვებისადმი მათ სიყვარულზე, იმაზედაც გაამახვილა ყურადღება, რომ მოსწავლეთა უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის გამო ვერ ხერხდება ყველა ნამუშევრის გამოფენა, რომ ეს კედლები უკვე „პატარაა“ გამოფენის სრულად წარმოსაჩენად... მან მიმართა ხატვის ნიჭით დაჯილდოებულ ბავშვებს და მათაც, ვისაც უყვარს ხატვა და დიდი სურვილი აქვს ისწავლოს, რომ ისინი ამ სკოლაში ადამიანური ღირებულებების და საუკეთესო მოქალაქეებად ჩამოყალიბების „სკოლას“ გადიან, რომ აქ ისინი სწავლობენ მეგობრობას, თანადგომას, ერთმანეთის დაფასებას და ერთმანეთის წარმატებით იღებენ სიამოვნებას.

ბავშვებმა და მშობლებმა უნდა იცოდნენ, რომ სკოლის დამთავრების მოწმობას მიიღებს ის მოსწავლე, ვინც ყველა კლასს გაივლის, ვისი აკადემიური მოსწრებაც იქნება სათანადო დონეზე, მაგრამ ისინი, ვინც მოწმობას მიიღებს დაუბრკოლებლად გამოიყენებს თავიანთ შესაძლებლობას ცხოვრების შემდგომ ეტაპზე სწავლის დაწყებისას თუ პრაქტიკულ საქმიანობაში.

ქალბატონმა თამარმა მადლობა გადაუხადა მოსწავლეებს და მათ მშობლებს თავიანთი ნამუშევრებით, რომ კიდევ ერთხელ გაალამაზეს ეს დარბაზი.

მან მადლობა გადაუხადა აგრეთვე შეკრებილ საზოგადოებას, მოსწავლეთა გამოფენის მიმართ ინტერესისა და თანადგომისათვის.

მამა დავით პატარიძე: „დაგლოცავთ და მადლობას გეტყვით ამ ლამაზი დღისთვის, რომ ეს ყველაფერი დიდ შრომას და ძალისხმევას მოითხოვს და მიხარია, რომ ეს თქვენ შეგიძლიათ. აქ არის ნიჭიც, მონდომებაც და პასუხისმგებლობაც. გისურვებთ მომავალშიც ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას. აქ არის დიდი შრომის შედეგი ორივე მხარის, მასწავლებლისაც და მოსწავლისაც. ღმერთმა დაგლოცოთ და გიწინამძღვროთ სამომავლოდ“.

სამხატვრო სკოლის აღსაზრდელებს და პედაგოგებს გამოფენის გახსნის სიხარული და დედის დღე მიულოცეს: სახელოვნებო განათლების ცენტრის დირექტორის მოადგილემ შორენა ბოჭორიშვილმა, თერჯოლის სამუსიკო საგანმანათლებლო სკოლის დირექტორმა ვალერი კუბლაშვილმა, საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილების ხელმძღვანელმა რუსუდან ნიშნიანიძემ.

ქალბატონმა თამარმა მადლობა გადაუხადა კიდევ ერთხელ ყველა აღსაზრდელს და აღნიშნა, რომ სკოლის აღსაზრდელთა ნახატები გამოიფინება ხოლმე არა მხოლოდ აქ გამართულ ვერნისაჟზე, რომ სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრები (შერჩევით) ალამაზებს სხვადასხვა მუნიციპალურ ღონისძიებას. მან მადლობა გადაუხადა სამხატვრო სკოლის პედაგოგებს, რომლებიც პასუხისმგებლობით და მაღალი პროფესიონალიზმით ემსახურებიან მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის საქმეს.

გვერდის ავტორი
მზია ცქიფურიშვილი

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** **599 92 49 75**
მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** **599 91 24 14**
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
TRESGE22
ანგარიში
8 2633 7499
ს/კ 231948872